საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/1319-10

"11" 06 2010 წ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის
აღმასრულებელ დირექტორს ქალბატონ ეკა ურუშაძეს

„განმარტებასთან დაკავშირებით"
(პასუხი თქვენს 25.05.2010 N1-831 და 01.06.2010 N1-833 წერილებზე)

ქალბატონო ეკა,

როგორც უკვე გაცნობეთ, მომხმარებლისთვის მიწოდებული ინტერნეტის ხარისხის შეფასების სისტემები დღესდღეობით სტანდარტიზებული არ არის და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. ამავე დროს, სამწუხაროდ, ინტერნეტის ხარისხის შეფასების არც ერთი პროგრამული სისტემა არ არის სერტიფიცირებული საქართველოში, მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კომისიაში მომხმარებელსა და ინტერნეტ პროვაიდერს შორის, ინტერნეტის ხარისხთან დაკავშირებული ყოველი კონკრეტული დავის დროს, სხვადასხვა პროგრამებისა და მომჩივანი მომხმარებლის ტერმინალური მოწყობილობების გამოყენებით, კომისიის აპარატის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების შემოწმებაზე (აბონენტის მისამართზე ან მომსახურების მიმწოდებლის მისამართზე) გასვლის გზით, ხორციელდება ინტერნეტის ხარისხის შემოწმება კონკრეტული მიმართულებით, თუმცა ხარისხის შემოწმება არ ატარებს სისტემურ ხასიათს ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე.

გამომდინარე იქიდან, რომ კომისიის ერთ-ერთ ფუნქციას და ვალდებულებას წარმოადგენს მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა, მათ შორის მომსახურების გაწევის ხარისხის დადგენა და მომსახურების მიმწოდებლის მიერ ამ ხარისხის დაცვაზე ზედამხედველობა, კომისია აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით აქტიურად თანამშრომლობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტებთან.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე ი.ჩიქოვანი

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18;
ტელ.: +995 32 921667, ფაქსი: +995 32 921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge